სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

16116322642321

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210759343

რეგისტრაციის თარიღი

20.07.2021 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 2 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაერთი წლის ოც იულისს **მე, ნოტარიუს ნანა ბაკურაძეს,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში, მომმართა **შპს "სანი"-ს (ს/კ 406033983) დირექტორმა ივანე ბარბაქაძემ.** მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ივანე ბარბაქაძემ** (დაბ. 31.12.1983წ. გარდაბანში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, ვლ. გაბაშვილის ქ. №5, ბინა 16, ბარათის №13IK24762, პირადი №01017021602 გაც. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.05.2015წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი **ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება** და ვადასტურებ, რომ მის **ქმედუნარიანობაში, უფლებამოსილებაში** ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს "სანი"-ს (ს/კ 406033983) დირექტორი ივანე ბარბაქაძე** (დაბ. 31.12.1983წ. გარდაბანში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, ვლ. გაბაშვილის ქ. №5, ბინა 16, ბარათის №13IK24762, პირადი №01017021602 გაც. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.05.2015წ.) (შემდგომში მოხსენიებული როგორც - **მიმნდობი**) **ერთობლივად ან ცალ-ცალკე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვენდობი შპს „ლენდ მარკ პროჯექტი"** -ს (ს/კ: 405221843) დირექტორს - **ხათუნა კიკვაძეს** (პ/ნ: 01017008247) და **შპს „ლენდ მარკ პროჯექტი"** -ს (ს/კ: 405221843) 100%-იან წილის მესაკუთრეს **ავთანდილ მახარობლიშვილს** (პ/ნ: 01008018073) (შემდგომში: ხათუნა კიკვაძე, ავთანდილ მახარობლიშვილი მოხსენიებულია როგორც - **მინდობილი პირები**) წარმოადგინონ შპს „სანი" (ს/კ 406033983) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში ქ. თბილისში, კოსტავას ქ. 43 (1642 კვ.მ, საკადასტრო კოდი 01.15.03.010.073) არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების, განაშენიანების რეგულირების გეგმის, არქიტექტურული პროექტის დამტკიცებისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით.

მინდობილი პირები უფლებამოსილები არიან მიმნდობის სახელით, წარადგინონ და ატვირთონ ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, ხელი მოაწერონყველა აუცილებელ განცხადებას და სხვა ოფიციალურ საბუთებს, მიიღონ მონაწილეობა განაშენიანების რეგულირების გეგმის (ორივე სტადია), არქიტექტურული პროექტის, მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის გამართულ ზეპირი ადმინისტრაციული წარმოების განხილვში, შეასრულონ ყველა ქმედება, რაც უკავშირდება ზემოაღნიშნულ დავალებას. მინდობილი პირები ასევე უფლებამოსილნი არიან ხელზე მიიღონ/გაეცნონ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი, მშენებლობის ნებართვა და ყველა სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გამოიცემა წინამდებარე მინდობილობაში მითითებული დავალების შესრულების საფუძველზე.

მინდობილი პირები, უფლებამოსილნიარიან, აღნიშნული დავალების შესრულებაში ჩართონ: კომპანიის ქვეკონტრაქტორები და მასთან შრომითი ხელშეკრულებით დაკავშირებული პირები.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში დამკვეთად უნდა დაფიქსირდეს - **მიმნდობი** (შპს "სანი"), როგორც სამშენებლო მიწის ნაკვეთის განვითარების ინტერესის მქონე პირი.

მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით და ძალაშია 2023 წლის 20 იულისის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 10 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 12 ლარი და 00 თეთრი.

ივანე ბარბაქაძე _____

(შპს "სანი"-ს (ს/კ 406033983) დირექტორი)

ნანა ბაკურაძე _____

ნოტარიუსი

SHOT ON MI 9T PRO
AI TRIPLE CAMERA